№ 19

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სოროპან“ის სტამბაში. მისამართი: **Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили**

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სოროპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 19 ᲙᲕᲘᲠᲐ 10 ᲛᲐᲘᲡᲘ 1915 Წ.

10 ᲛᲐᲘᲡᲘ

ეკრძალენით ხელოვნებას! ისე არაფერი ჰლახავს ადამიანის გრძნობა-გონებას, როგორც ხელოვნების სიმახინჯე, არა მთლიანობა, გახელოსნება...

და ის მწერალი, მსახიობი ანუ მუსიკოსი, რომელიც ხელოვნების სრულყოფას ყურადღებას არ აქცევს—რა ღირსია ხელოვნების ტაძრის ქურუმის სახელი ატაროს?!

ხელოვნებისადმი არა პატივისცემა განსაკუთრებით დასჩემდათ ჩვენებურ სცენისმოყვარეთა უმეტესობას, და ზოგიერთ მსახიობთაც, რომელნიც არა თუ ხელოვნების ღრმა მნიშვნელობას არ უკვირდებიან, ნაკისრ როლსაც არ სწავლობენ, ამა თუ იმ პიესაში თვის მდგომარეობას არ უკვირდებიან—ხშირად წარმოდგენებს ყოვლად შეუფერებელ, მხატვრულად მოუწყობელ, პირობებში მართვენ, რეპეტიციაზე ან არ დაიარებიან და თუ დაიარებიან—უჯერ-მაჯეროდ, წარმოდგენის ღამეს მოვლენ მთვრალნი, რითაც წარმოდგენის მთლიან შთაბეჭდილებას ხელს უშლიან... ხოლო როცა ამ ნაკლს შენიშნავთ—თავსაც მართლულობენ - რეპეტიცია არა გვქონია, როლი არ ვიცოდითო და სხ.

ასეთ ვითომდა სცენის მსახურთ ადგილი შეიძლება ყველგან ჰქონდეთ, ხოლო ადამიანის უწმიდეს გრძნობათა წმიდა სამლოცველოში—სცენაზე-კი არასოდეს..-

ეკრძალენით ხელოვნებას, ვინც ოდნავ მაინც პატივსა სცემთ ..

——

გზა მშვიდობისა!... სიტყვა საქმედ იქცა... ის, რაც ამ ერთი წლის წინად ვისურვეთ,აწ უკვე ხორციელდება: ენკენისთვიდან გამოვა თვიური ჟურნალი „ახალი მოამბე“, პროგრესიულ-დემოკრატიულ მიმართულებისა...

ჩვენი ერის გონებრივი განვითარება საჭიროებს არა მხოლოდ დასურ-ჯგუფურ გამოცემათ, არამედ ყოველგვარ ვიწრო მისწრაფებაზე მაღლა მდგარ გამოცემასაც...

დინჯი, დარბაისლური, მიუდგომელი შემოქმედებითი მუშაობა, სამშობლო ენის—სტილის დამუშავება და ხალხის სულიერი ავლა-დიდების გამომზეურება სად შეიძლება, თუ არა თვიურ ჟურნალში...

ასეთი ჟურნალი თუ ამ ათი-თხუთმეტი წლის წინად იყო საჭირო, მით უმეტეს დღესაა საჭირო და სასარგებლო...

დღევანდელ პირობებში მით უფრო საამოა ამ ჟურნალის გამოცემა, რომ სათავეში საზოგადოებასა და მწერლობაში ცნობილნი პირნი. ქ-ნი ნინო ყიფიანისა და ბ. ივ. ელიაშვილი— უდგანან, ყოველ ვიწრო ჯგუფურ-დასურ მიმართულების გარეშენი...

—.

არა ნაკლებ ყურადღებას იქცევს ქუთაითური კვირეული გაზეთი „ახალი კვალი“, რომლის გამოცემაც გასულ კვირას დაიწყეს და რომელიც, როგორც სჩანს, ჩვენს ცხოვრებაში **ახალი კვალის** გავლებას ჰფიქრობს...

გზა მშვიდობისა ორივე გამოცემას... კარგი ნიშნები სჩანს...

ოცნების კიბე*)

კალამი ხელში ავიღე და უეცრად ვიგრძენ, რომ დღეს არა გამოვა რა... ვერას დავწერ. ყოველდღიურ უსიამოვნებისაგან დაჩრდილულ გულის სიღრმიდან დაიბადა და მოსვენებას არ მაძლევდა მწვავე სევდიანი საკითხი:

— „რასა სწერ, რისთვის ან ვ სთვისა სწერ?"

წარმომიდგა აჩრდილი დიდებული ქურუმის, აჩრდილი ჭეშმარიტ მშვენიერებისა..

იგი თითქოს მეჩურჩულებოდა:

— „ნუ თუ ჯერ კიდევ საკმაო არ არის, რაც დაიწერა? ან რა შეგიძლია შეჰმატო ჩემ-მიერ შექმნილ უკვდავ მშვენიერების ოქროს სტრიქონებს?"

აღელვებული, ათრთოლებული ვიდექი დიდებულ მოხუცის აჩრდილის წინაშე...

ჩემ საწერ მაგიდის პირდაპირ ფანჯრიდან ლურჯ ცის სიღრმემდინ უეცრად გაბმულიყო უშველებელი კიბე.

კიბის პირველ საფეხურზე იდგა თეთრი ნათელი მოჩვენება, ჩემი სულის წიაღში დაბადებული.

უმწიკვლო, წმინდა წმინდა, ვით შუქი ჩემი ოცნებისა...

ხელი გაიმწოდა და მითხრა—მომყევიო...

გზას შევუდეგი, ზევით მივეშურებოდი.

რაც უფრო მაღლა ვიწევდი, მით უფრო ვრცელი იყო ზეცა, მით უფრო ღრმა უბსკრული იყო ქვეყანა ..

ჩემი გზა ზღაპრულ მშვენიერებას წარმოადგენდა...

საოცნებო ქვეყნისაკენ მივცურავდი ..

მომესმა ხმა ნაზი, მთრთოლვარე, ვით გაზაფხულის ჟღერა'

— „მე ვარ—მშვენიერება!"

ვითარცა ზვირთები ზღვაში, ჩემში იბადება და ჩემსკენ ისწრაფვის ყოველივე.

საუცხოოა და ლამაზი ყოველი, რადგან ჩემით არის გამსჭვალული! ჩემით. აბა, გადიხედე!"

ზევიდან გადვიხედე.

დედამიწა მზის სხივებში ელვარებდა, ვით ძვირფასი ფერადი ქვა, ლილის შუქით შემოსილი ტყე შრიალებდა...

მთათა ოოვლიანი მწვერვალები ვარდის ფერ ქაფში დუღდენ და მდინარეთა მოკაშკაშე ფოლადით გარშემორტყმულნი, ჰქანაობდენ ღრუბელთა მოვერცხლილ ქსოვილში.

მართლაც საუცხოო იყო ყველაფერი, სილამაზეზე ჰღაღადებდა ყოველივე, მაგრამ... მაგრამ ძირს კვლავ ოხრავდა და კვნესოდა დედამიწა, ძირს ჰქვითინებდა დაქანცული, დასუსტებული, ღონე მიხდილი ადამიანი.

— „ჰხედავ?" კვლავ მომესმა ხმა ნაზი და მთრთოლვარე, ვით გაზაფხულის ჟღერა.

— „ტყენი შრიალით ჩურჩულებენ," მივუგე მე,— „რაღაც იდუმალ მშვენიერებაზე, წყნარად იღიმებიან მოვერცხლილ ღრუბელთა შორის მწვანე მოლით შემოსილნი მდევმთათა მწვერვალნი, საუცხოო ჰიმნსა ჰგალობენ მდინარე და ნაკადულნი; ყველაფერი ლამაზი და მშვენიერია, რადგანაც შენით არის გამსჭვალული, ყველაფერი.. მაგრამ, ჰკვნესის და ოხრავს დედა-მიწა, მაგრამ..."

— „გასწი, გასწი მაღლა, საბრალო ადამიანო!..

კვლავ ვცადე ერთი საფეხურით კიდევ ზევით ავწეულიყავ ..

ვერ შევძელი და გულის ტკივილით ვიგრძენ, უძლური ვარ მოვშორდე ამიერებას, უძლური ვარ მოვშორდე დედამიწას, მისს სევდას ..

გული მიწის ხმაურობით, ოხვრით და და კვნესით ამევსო...

კიბეზე ვიდექ გულდამწვარი, გაქვავებული...

პირველ საფეხურზე კვლავინდებურად იდგა მოჩვენება, წმინდა და უმწიკვლო, ვით

*) თვით ავტორის მიერ წაკითხული „სალიტერატურო დილაზე", სახ. სახლში 3 მაისს.

შუქი ჩემის ოცნებისა, სიბრალულით, მწარე ლიმილით შემომცქეროდა ..

წყვდიადით მოცულ დედამიწაზე შავად ჰქრიალებდა სახრჩობელათა რიგი, რომელზედაც ჰქანაობდენ ჩამოხრჩობილნი ..

საშინელი მკვდარი თვალებით მომჩერებოდენ...

— „შეხედე, შეხედე, მშვენიერებავ!“ სასოწარკვეთილებით შევძახე მე. .“

მან სახეზე სწრაფად ხელები მიიფარა, ოდნავ შეირხა და გაჰქრა...

გაჰქრა მარადისობის ბურუსში. .

გ. ამირეჯიბი

ქურუმს

(აკაკის.—წარმოთქმული აკაკის დილაზე სახ. სახლში)

ჰანგთა მეფევ! როცა მესმის
ხმა ნარნარი შენი მღერა,
მეც ფრთა მესხმის, მაგრამ შენებრ
ვერა ვმღერი, ვფიცავ, ვერა!

ვინ გასწავლა ეგ გალობა,
ეგრე ნაზი, ეგრე წყნარი,
რომ მყინვარმაც იწყო ლხობა,
რომ მყინვარსაც სცვივა ცვარი?!

ვინ ხარ, ვინა, ბულბული თუ
მზის ტოროლა ენა ტკბილი,
რომ ზარს ჰრეკავ გარიჟრაჟზე,
ფრთა მალხაზი, ფრთა გაშლილი?

იქნებ ღმერთმა მოგავლინა
ციურ გრძნობის დასაკვესათ,
კაცთა სულის აღსადგენათ,
სიყვარულის დასათესათ?

ეჰ, რა ვიცი, ვინ ხარ, რა ხარ,
უკვდავი ხარ როგორც ღმერთი;
პოეზიის შვენება ხარ,
ცის და მიწის შემაერთი!

მამულიშვილთა სადიდებლად

წარსულის მკვლევარი

დ. ზ. ბაქრაძე
(1827-90)

ჩვენი წარსული წყვდიადით იყო მოცული, წინაპართა საქმენი მტვრით დაფარული, როდესაც დიმიტრი ბაქრაძე მის გასაშუქებლად მოგვევლინა—ბნელს ნათელი მოჰფინა, წარსულის შესწავლა მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე დააფუძნა...

დ. ბაქრაძე დაიბადა ს. ხაშმში (გარეკახეთში 1827 წ. 8 აპრ. მამა მისი ზაქარია ს. ხაშმის ღარიბი მღვდელი იყო, დედა მისი —ამავე სოფლის გლეხის ქოქრაშვილის ასული. წერა-კითხვა მამამ დააწყებინა. სასწავლებლად ჯერ ადგილობრივ ნათლისმცემლის მონასტერში მიაბარა, მერე თბ. სასულ. სასწავლებელში, შემდეგ სემინარიაში, რომლის დასრულების შემდეგ დიმიტრიმ უმაღლესი განათლება მოსკოვის აკადემიაში დაამთავრა 1850წ. კანდიდატის ხარისხით. 1851 წ. სამშობლოში დაბრუნდა და ამ წლიდან სიკვდილამდე მსახურებდა სამასწავლებლო, საზოგადოებრივ და სამმართველო ასპარეზზე. ყველგან დიდს მუყაითობას, სიყვარულსა და თვითმოქმედებას იჩენდა, ხოლო უკვდავი სახელი დასტოვა თვ სი სამეცნიერო დაუღალავი შრომით არქეოლოგიურ, ისტორიულ, პალეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ გამოკლევებით. დასწერა მრავალი ისტორიული გამოკვლევა (28-დე დიდი ნაშრომი). რუსულად წერა დაიწყო 1849 წ.(„სოვრემენნიკ“-ში), ქართულად 1860 წ.(„ცისკარში“). იყო ბეჯითი, წარსულის შესწავლით გატაცებული, მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი, ფრთხილი, მიუდგომელი მკვლევარი და მტკიცე მამულიშვილი. როგორც ადამიანი, იყო თავმდაბალი, უმწიკვლო, მეტად თავაზიანი, გარდ. 1890 წ. 10 თებერ. ქართველმა ერმა დიდის პატივისცემით დაკრძალა იგი (13 თებერ. დიდუბის ტაძრის გალავანში) და წელსაც, გარდაცვალების 25 წლის თავს, მოწიწებით მოიხსენია ის მამულიშვილი-მეც-

ნიერი, რომელმაც სამშობლოს წარსულს შავი ზეწარი გადაჰხადა და მზის სხივებს აზიარა...

ასეთ შვილთ ერი არ ივიწყებს და მუდამ მადლობით იხსენიებს...

———

სცენის ქურუმი

კოტე მესხი
(1914-15)

ამ კვირია ერთი წელიწადი სრულდება, რაც აღარ გვყავს ჩვენი კოტე, სამშობლოს სცენის მეფე ქურუმი, ქართული სასცენო ხელოვნების სწორუპოვარი ნერონი და ნაპოლეონი...

ჯერ ერთი წელიწადი არც კი გასულა... და უკვე მწვავედა ვგრძნობთ უმისობას...

ქართული თეატრის ისტორიაში წითელი ძაფივით ჩაქსოვილია კოტეს ხსენება...

ამიტომაც არის, რომ ქართ. დრამ. საზ. გამგეობას და მსახიობის მოღვაწეობის პატივისმცემელთ გადაუწყეტიათ მისი გარდაცვალების წლის თავი ღირსეულად აღნიშნონ, შესაფერი ზეიმით... განზრახულია შემოსავალი ძეგლის ასაგებად გადიდოს.

და განა საზოგადოება კი უკან დაიხევს—თავის წვლილს არ გადასდებს, რომ ხელთქმნილი ძეგლი აუგოს იმას, ვინც სამშობლო სცენას საძირკველი ჩაუყარა ხელთუქმნელ ძეგლთა განსახიერებით!?

გვგონია, საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდება იმ კაცის მოსახსენებელ დღეს, რომელიც მარად აფრთოვანებდა ჩვენს გულს, გრძნობასა და გონებას...

ეს დღეც მალე გათენდება - 17 მაისს, დილით სახ. სახლში.

———

მუშა-მწერალი

ეს იყო მიხ. გიორ. ლელაშვილი...*)

მეტად ცუდს პირობებში მოუხდა ცხოვრება, სიცოცხლე და სიკვდილი...

არავინ იყო მისი მზრუნველი: შვიდი წლისამ ენფენჯიაცნის ქარხანაში დაიწყო მუშაობა, ანბანი ძალუასაგან ისწავლა, კითხვა—ვაგონებზე, წიგნებს თვისით დაეწაფა, ლექსების წერას შეუდგა და საბავშო ჟურნალების ერთი მუდმივი თანამშრომელთაგანი შეიქმნა...

სწერდა ლექსებს, აკროსტიხებს, შარადებს, ანდაზა-გამოცანებს...

და მუშა, მუშათა სულ-გულის მცოდნე, მუშებს—მდაბიო ხალხს მწიგნობრობას აზიარებდა, კითხვის სურვილს უღვიძებდა, თვითგანვითარებისკენ მიუთითებდა...*)

1903 წლიდან სახლხო სცენაზედაც მონაწილეობდა.

1913 წ. მისი რედაქტორ-გამომცემლობით გამოდიოდა საოხუნჯო ჟურნალი „ჭინჭარი“ (თვითონ სწერდა შმაგას და სხ. ფსევდონიმებით), 1914 წ. გამოსცა ასეთივე ჟურნალი „სუსხი«, რომელიც მე-9-ე ნომერზე შეაჩერა მართებლობამ, ხოლო მუშა-რედაქტორი სამწერლო საქმის გამო სამართალში მისცა 129 მუხლის ძალით.

ამავე აპრ. 27 ღამით უწყება ჩააბარეს—ხვალ, 28 სასამართლოს წარუდექიო...

მაგრამ ბედკრულმა მუშა-მწერალმა დაასწრო: სასამართლოს კი არა, სიკვდილს წარუდგა: 2 მაისს სული განუტევა...

და ის, ვინც თვისით შეძენილი ცოდნით, არა დიდი ნიჭით, მაგრამ წრფელი გულით მოზარდი თაობისა და მდაბიო ხალხის გათვითცნობიერებას ემსახურებოდა, გარდაიცვალა დიდს სიღარიბეში, დიდთაგან შეუწყნარებელი, თითქმის ყველასაგან მიტოვებული, თითო-ოროლა მეგობარ-მუშის თანაგრძნობით...

მძიმე და აუტანელია ქართული მწიგნობრობის მუშაკის ცხოვრება...

მაგრამ დადგება დრო და მასაც მოიგონებენ...

იოსებ არიმათიელი

---

*) დაიბ. 1869 წ. 20 ნოემ., გარდ. 1915 წ. 2 მაისს. სურათი იხ. „თ. და ც.“ № 16.

*) ცალკე გამოიცა მისი პოემა ,,მოღალატე ძმა'', ლექსთა კრებულები: „კანდელი“, „ობოლი'' ,,მსხვერპლი ჰიდაობასა'' და სხ. დარჩა მრავალი ხელთნაწერი.

ქველმოქმედი
სალომე ბეჟანის ასული გურგენიძისა

ქართულ გიმნაზიის ეკლესიას შესწირა ორასი თუმანი, თვით გიმნაზიას სხლითის მამულები (სახლკარი, ტყე და სხ.)

სიყვარულის ტაძარი

ხშირ ტყეში, ვერცხლივით ბრჭყვიალა ტბის პირად, ვარდის ბუჩქებით გარემოცული აღმართულა წმიდა ტაძარი. ტაძარსა შინა მარმარილოს სამსხვერპლოზე სდგას საცეცხლური, რომელშიაც განუწყვეტლივ გუნდრუკი იკმევა!

ეს არის ჩემი სიყვარულის წმიდა ტაძარი!..

მოლივლივე ტბაზე წყნარად მიმოსცურავენ გედნი ულმოდერებულნი! და იყვნოსენ ტბის თეთრ ლოტოსის ნაზ სურნელებას!..

ვარდის ბუჩქებზე მსხდომნი იადონნი გალობენ, ქებათა-ქებას ასხამენ ამ მშვენიერი ბუნების შემოქმედს!..

განთიადის ჟამს, მარმარილოს სამსხვერპლოს წინა, მუხლ-მოდრეკილი, ლოცვად ვდგევარ, და წრფელის გულით, ღვთისადმი ლოცვას აღვავლენ, ვეძიებ მე მას!..

სამსხვერპლო აკმევს გუნდრუკის სურნელებას, სასოებით ათბობს ჩემს არსებას!..

იწვის სურნელოვანი შესაწირავი!!.

ისმის საამო, მომჯადოებელი, ორთოსის წყნარი ჩანგისა ჟღერა, მაზედ ნიმფები და ფერიები—ნაზად დამღერენ ტყის სიმფონიას!..

მეც მათა ვუვები, ლოცვას ვღაღადებ!.. სამოთხის ნეტარებას განვიცდი!..

ყოვლად შემძლე ზევსს შევსთხოვ შენს სიცოცხლეს, მშვიდობით ყოფნას!.. ვერ ვურიგდები იმას, რომ შენ შუქისა მფენი აპოლლო, მკაცრ მარსად გექციეს შენს ჯნებურად!. ტლანქი ძალა მუხრუჭებს გიჭერს, და გასპობინებს ნათლით მოსილს სიცოცხლეს ტკბილსა, რომელს შენც შესტრფოდი და გიყვარდა!..

—სისხლით გაუმაძღარო, წყეულო მარსო, ვინ მოგცა ნება, სიცოცხლე წამართვა?!. განა შენ ძალგიძს, სიცოცხლე მომანიჭო?!. წყეულ იყავ შენ!.. მე სიცოცხლე მინდა, მზე და ძალით ნუ მართმევთ!..

სდუმს მლძავრი ძევსი, ვით სდუმან გაშტერებული ტყისა ხენი რომელოაც, თითქოს, განთიადისას ჩასძინებიათ, და სთვლემენ!!!

ძევსი ხმას არ იღებს, გამწყრალა, განრისხებულა!.. სამსხვერპლო უკვდავების სურნელს აკმევს!

ოჰ, ნეტარებავ!.. გუნდრუკის კვამლში, შენს სახეს ვხედავ ნათლით მოსილსა!..

შენ მოხველ ჩემთან?! მარჯანის პობილი ბაგენი ღიმილს მიძღვნიან!,. შენ მომეგლინე, ჩემი სული მოსწვდა შენს სულს!!. შორით გაიგო ჩემი ვედრება, რომ მას ვეძებდი, იგი მწყუროდა?!. ნუ თუ შენ, ნათელო სულო, ღვთაება ხარ! . შენზე ვილოცო!!. ვილოცებ შენზე, შენ ძლიერი და უკვდავი ხარ!.. მე შენა მწამხარ!.. ჰა, სული ჩემი, მსხვერპლად შეიწირე, ნათელო სულო!.. რად, რად, შემოთოდა შენი სახე აპოლონ, ეგოდენ ტურფა ნათლით მოსილი?!. ნუ თუ, ამ წამში შენ ტყვია გულს მოგხვდა!.. ვაი, მე ბედკრულს!..

სული სწუხს, სულმა იგრძნო ტოლის დაკარგვა!!.

შენ მწუხარედ გამომზირალი მყვედსა მთხოვ, განკმირული და მე არ ძალმიძს შველა! სადღა ვიპოვო ძმადნაფიცი მე შენი სწორი?!.

ვინ სცეს ნუკეში დაობლებულ სულს!..

ვინ გიპატრონებს, ოხრად მთენილს, ტიალ მინდორზე?!.

და ვინ დაგაფრქვევს ცრემლებს მდუღარეს!..

ყველას ვიპოვნი ქვეყნად, მხოლოდ, შენ, შენ, ვერა გპოვებ, ჩემო აპოლონ!..

ოჰ, რა ძნელია ტოლის დაკარგვა!..

ნუ თუ მარადისობის ჟამთა სრბოლაში, როს ჩვენ აღვდგებით, სხვა სახით: კვალად ვიხილავთ ურთ-ერთს!..

ჩვენ კვლავ უნდა ადვზდგეთ, და შევქმნათ სიტოტხლე, რომ ძალით არ ჩაგვიქრონ სიტოტხლისა მზე!!.

ჩემს ტაძარში ჩაქრა სიტოტხლის წმიდა ლამპარი!..

შორით მომესმის, მწარე გოდება, მოთქმა ჩავიდი!..

ტბის ზედაპირი ჩურჩულიდ მამცნობს თვის მწუხარებას, სხივის ქვეშეინ გამეფებულ უსამართლობას!..

ძველი სდუმს, განრისხებულია!..

ტბის თეორ ეკვალიდ ოვი დახარეს... ბედნი ლერწამში მიიმალნენ..

ვ. ბუთ—ლი

სანდრო ვერელი (ებიაშვილი)

ბაქოს სცენის მოყვარე

სანდრო ვერელი (ებიაშვილი)

ახლახან ბაქოში გარდაიცვალა ახალგაზდა სცენის მოყვარე სანდრო ვერელი, გვარად ებიაშვილი, და მისმა გარდაცვალებამ დიდათ გული დასწყვიტა ადგილობრივ, ბაქოს დრამატიულ წრეს. მშვენიერი ახალგაზდა, პატიოსანი და დაუღალავი მუშაკი, ამხანაგების საყვარელი ადამიანი იყო. მუდამ თავაზიანი, საქმეში დაუზარებელი დიდის საჯისით ეკიდებოდა ქართული სცენის საქმეს და რითიც შეეძლო, თავდადებით მუშობდა. ეგ იყო ერთი იმ მუშაკთაგანი, რომელთაც თვის გამოჩენა და განდიდების სურვილი კი არ ამუშავებთ, არამედ საქმის წრფელი სიყვარული და უზადო ხალისიანობა. წრეკანდელ საზოგადოებაში კი, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ბრალია ასეთ სიყვარულ საქმეს, რადგან ფოტოტაში მსახურებდა და ოფიციანობის გამო მეტად ბევრი სამუშაო დაეტეოდა თავს. დიდათ საწუხარია ამ მოუტანელობით, მაგრამ ეი უდმობელმა სიკვდილმა საუკუნოდ შეაწყვეტა ის წმინდა გული, რომელიც საზოგადო საქმისათვის ეგრე ადგილთაგანებით ფეთქდა. სრულიად ჯან-სადი ახალგაზდა იმსხვერპლა ხუნაგმა. ამხანაგებმა—ფოტოტის მოხელეებმა და სცენის მოყვარეთ—შესაფერის პატივისცემით მიაცილეს უკანასკნელ განსასვენებლამდე და გულში ჩაიოდეს სამუდამო ხსოვნა წრფელის, პატიოსანის და უდროოდ დაკარგულის სანდროსი.

შანი

წერილი მოწაფეებისადმი

„თუ შენი ძმა არ გიყვარს, რომელიც ახლოა და ყოველ დღე ჰხედავ, როგორ უნდა შეიყვარო და იწამო ღმერთი, რომელიც შენზე შორს არის და უხილავია.

იოანნე ოქროპირი

რამდენიმე ქვეყანაში, რომლის ხალხი განათლებით ძალიან მადა სდგას ჩვენზე, სადაც მუშა ხალხს უფრო ნაკლებად ესაჭიროებათ დახმარება, სადაც თვითონ მთავრობა ხელმძღვანელობს და მუშაობს ხალხის სადღერგძელოდ, ადვიძებს, ამხნევებს, უადვილებს ცხოვრებას, „სადაც ყველა თანასწორია, ერთსა მეორის არ აქვს შიში“, იქაც კი დადგებულმა იქაურმა ბედაგოგებმა შეიშუშავეს წესი და რიგი და გადასცეს თავიანთ მოწაფეებს სახელმძღვანელოდ: როდესაც ამათ დათხოვენ ხოლმე საორთოვეოდ, იგინი მოვალენი არიან მიიტანონ-მოიტანონ სოფლებში, გაეცნონ ხალხს და თვითონაც გაცნონ თავიანთი თავი ლხინსა და ჭირში, გაჭირვებასა და უჭირველობაში. ესენი ბედადს ირჩევენ (უმეტესად სტუდენტებს), ეს ბედადი აგენტებსა გზაგნის აქ-იქ სოფლებში იმის გასაგებად, თუ რომელ სოფელში რა გაჭირვებაა, რა დუხჭირი ტრიალებს, რომ მოწაფეთა წრემ დახმარება გაუწიოს ამ სოფელს, გაჭირვების ოფლი მოსწმინდოს, თავისი გულიც გაახარონ და გაჭირვებულთა გულსაც ნათელი მოჭვინონ. ეს აგენტები ყველაფერს ატეობინებენ თავის ხელმძღვანელს და მერე იწყება მუშობა და სოფლის დახმარება. ეს ორგანიზაცია ორ უმთავრეს მიზანს ემსახურება: 1) ახალთაობა პატარობითვე ეჩვევა მოქალაქობრივ გრძნობას, ქვეყნის გაცნობას, სამშობლოს სიყვარულს და 2) გაჭირვებულთა დახმარებას.

მოწაფეებო! სწორედ დღეს, მეტადრე დღეს, მით უფრო ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება ეს ორგანიზაცია, დღევანდელმა უმაგალითო ომმა პაწაწინა საქართველოსაც მოსთხოვა მსხვერპლი და ჯან-სადი, საუკეთესო შვილები ბრძოლის ველზე გაიხვეტა შინ მხოლოდ დავრდომილნი, ბავშვები, დედაკაცები დარჩნენ. ძლიერი კალამი უნდა, მახვილი ენა, გამჭრიახი გონება და მასთან მაგარი გული, რომ შესძლოს კაცმა ყველა იმის გადმოცემა, რასაც სოფელში გაიგონებთ და რასაც ნახავთ აქ თქვენი ბედნიერი თვალით; ნახავთ გოგოებს, ბიჭებს დატანჯული სახით, ტიტვლებს, მშიერებს, დაუვარცხნელს, დაჭუჭყიანებულებს... ნახავთ მხოლოდ ჩონჩხს ადამიანისას, მხოლოდ მგზავსებას... თვალები სისხლით აგემსებათ ამ სანახაობით, დაიწვით, დაიდაგებით და უფრო გაგიძლიერდებათ სურვილი ამათი დახმარებისა... დიდი სურათი გადაგეშლებათ თვალ-წინ, ამავე დროს მოგაგონდებათ თქვენი პაწაწინაობა, ლხენა, ცელქობა, წარსულნი დღენი სიხარულისა და სილაღისა და ამასთანავე დღევანდელი ბედშაობა, სულით ობლობა ჩვენი სოფლელებისა. დაინახავთ ყველა ამას და უფრო ძლიერად აგიტოკდებათ გული სიყვარულით თქვენი სოფლისადმი, თქვენი სოფლის არე-მარისა... უცნაური რამ არის, ბავშვებო, ეს სიყვარული, ეს გრძნობა, გაუგებარია, უჩინარი, მაგრამ ნეტარი, ძლიერი: გულს უღუტუნებს, რაღაც უკვდავების წყაროს უშხაპუნებს ძარღვებში და ძალაუნებურად გაგამეორებინებს პოეტის სიტყვებს:

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი ჩემსა სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“...

რა არის? რა ძალა? რა გაერთებს? რა გაკავშირებს? რა გრძნობაა ეს გრძნობა? იფიქრეთ ამ კითხვებზე, მაგრამ ყველაფერი გაუგებარი, დარჩება თქვენთვის, მხოლოდ იგრძნობთ სიყვარულს, ნეტარებას, რაღაც ღვთიურ ძალას, რომელსაც დაემონებით და ზნეობითი კავშირით აკვანძებით „სალ-კლდეებს“, თქვენს სოფელს, იკვნესებთ მისი ტკივილებითა და ნეტარებას მიეცემით მისი ძალ-მოსილობით! შეგიყვარდებათ თქვენი სოფელი და ეს გრძნობა შეგაერთებთ, შეგაკავშირებთ სამშობლო ქვეყანას. თქვენი სოფელი ხომ ნაწილია თქვენი სამშობლო ქვეყნისა, თქვენი სამშობლოც პაწაწინა ნაჭერი მთელი ქვეყნისა, და ეს გრძნობა შეგაერთებთ, გაგიღვიძებთ სხვა ქვეყნის სიყვარულს, მის ჭირსა და ვარამს. „თუ შენი ძმა არ გიყვარს, რომელიც ახლოა და ყოველ დღე ჰხედავ, განა შეგიძლიან შეიყვარო და იწამო ღმერთი, რომელიც შენზე შორს არის და უხილავია შენთვის“? ტყუილად კი არა ბრძანა იოანნე ოქროპირმა. თუ შენი ქვეყანა არ გიყვარს, სადაც შენი დღენი გაგიტარებია, სადაც ყველაფერს ჰხედავ, სადაც ბუნებას შესთვისებულხარ, სადაც ყველაფერი შენთვის ნაცნობია, სადაც დარდობ და ლაღობ, განა შეგიძლიან შეიტკბო და შეიყვარო სხვა ქვეყანა, შენთვის უხილავი და უცნობი?

და აი სწორედ ამ აზრით გამსჭვალულნი წადით, ბავშვებო სოფელში, მიიფანტ-მოიფანტენით; ბევრნი ხართ და ბევრს საქმესაც გააკეთებთ: უშველით ხალხს მკაში, თავთავის მოგროვებაში, ძნების შეკვრაში, კალოზე, და სხვა და სხვა... ფუტკარი პაწაწინა მწერია, მაგრამ ღმერთსაც ემსახურება და კაცსაც... და თქვენც იგივე ფუტკარი ხართ, ჩემო კარგებო! თქვენი პაწაწინა ხელებით მუშაობაშიაც დაეხმარებით და ზნეობითაც გაამხნევებთ, აღამაღლებთ, გაუთბობთ გულს და აღარ ათქმევინებთ ამ საცოდავებს: — ამ განათლებულ ხალხშიაც მოვტყუვდით: მოვიდნენ ჩვენთან, თავისი მოქარგული ენით ახალი ცოცხივით მიჰგვიან, მოჰგვიან ჩვენს დაბეჩავებულს გულს და მერე ისევ ნაგვითა და ნაღვლით გვივსებენო“. ღმერთმა გაშოროთ ამ ბრალს და ღმერთმა მოგცეთ ძალი და სიმხნე ამ ჩემი წინადადების განსახორციელებლად.

(„სახ ფურ“) **ალექ. ნათაძე**

აკაკის ბრძნული სიტყვები

რასაც კი დასაბამი აქვს,
თანვე ჰდევს დასასრულიია.
რაც გარეგნობით თვალსა ჰრის,
ის შიგნით გამოხრულიია...

ავის და კარგის გამრჩევი
გამოცდილება ძნელია...

—

ახალი ძველსა შემუსრავს,
შეუცვლის ხორცს და ფერსაო...

—

რაც არ იწვის, არ ანათებს,
უჩინარად ლპება ნელა.

—

ერთი წამიც-კი სიცოცხლის,
თუ სხივების მომფენია,
უსინათლოს და უგრძნობელს
საუკუნოს მირჩევნია.

წამების ზღვაზე

VI უკვდავება

ჰეროსტრატემ ფერფლად აქცია დიდებული ტაძარი არტემიდისა, სულით ობოლმა მგოსანმა, მთელ სიცოცხლის განმავლობაში სისხლის ცრემლებით ნამა სამშობლოს გულმკერდზე აღმოცენებული ტურფა ყვავილნი, რომ ქვეყნად უკვდავება მოეპოვათ, და ამ უსაქმურს ადამიანს კი, რამოდენიმე წუთის უაზრო მუშაობით უკვდავ უქმნია თავისი სახელი.

უღირსი ხელით შეხებია პიტალო კლდის მკერდს და ისე ღრმად ამოუქარგავს ასოები, რომ დროთა მსვლელობა ვერ ამოშლის მას, საუკუნეთა განმავლობაში იქნება ეს კლდე აღმართული და ზედ იქნება წარწერილი მისი სახელი.

მიხ. ხოშტარიძე

ნუ იფიქრებ...

ნუ იფიქრებ, რომ მიყვარდე, ჯადოსნურო სარო ტანო,
როცა შენს წინ ლოცვად ვსდგები, მინდა გეყმო, გეთაყვანო.
ნუ იფიქრებ, ნუ იფიქრებ, თითქოს შენში ვეტრფი ქალსა,
როცა მინდა დავემონო მკერდს მშვენიერს, თეთრ ფიქალსა.
მე ყოველგვარ სილამაზეს—სულის ლტოლვით ვეგებები,
მე თვითვე ვქმნი ტანჯვას ძლიერს, ჩემის ტანჯვით ვიკვებები.
ვეტრფი წმინდა სიყვარულით, მარწყვის დილას, წითელ სისხამს,
ვეტრფი ზეცას, როცა იგი ვარსკვლავთ სამოსს წამოისხამს.
მიყვარს, როცა სიოს სუნთქვით, ირხევა და თრთის ფურცელი,
მიყვარს ყანა მოღაღანე, ზღვა მღელვარე, საზღვარ ვრცელი.
მიყვარს მთვარე, როცა იგი მოვერცხლილსა ისარ-კავებს
ათრთოლებულ ტბისა გული, ვეღარ იჭერს, ვერ აკავებს
მიყვარს როცა გაზაფხულზე დედამიწა იქარგება
და შაშვისა სევდით სტვენა ღრუბელთ შორის იკარგება...
მიყვარს ბაღი, სად ყვავილნი დააკმევენ გუნდრუკ სურნელს,
წყარო როცა ჩამჩურჩულებს ყოფნის ზღაპარს საამურ-ნელს,
მიყვარს ოხვრა, როცა დარდი გულს პირ-ბასრსა ეკალს ასობს,
მიყვარს ღამე საოცნებო, მაშინ ლტოლვა ერთი ასობს...
მიყვარს ტანჯვა—სილამაზე, და თუ შენს წინ ლოცვად ვსდგები,
შენ არ გეტრფი, როგორც ქალსა, მე სიტურფეს ვემონები!..

გრ. მეგრელიშვილი

მწირი-სარდალი*)

(გაგრძელება. იხ. „თ და ც.“ № 18)

ნინო (მოდის წყაროსთან, გაიხედ-გამოიხედავს და ადტაცებით)
ვიშ, ამ მშვენებით სავსე წალკოტსა,
საოცნებოსა და სანეტაროს!
ვინ იქნება რომ ნახოს, არ დასტკბეს
და მის გულს სევდა არ გადეყაროს?
(ტისკენ ადაჭერობს ხელებს)
ოჰ, შემოქმედო, ეს ტურფა მხარე,
სამოთხის დარი, თვალი ქვეყნისა,
თუ ჩვენ მოგვეცი, გთხოვთ მოგვანიჭო
ძალაც მტერთაგან ამის დახსნისა,
ყოვლის მხრიდან გარს შემორტყმულნი,
აღარ გვაძლევენ რომ მოსვენებას,—
შურთ ჩვენი ბედი და გვიპირებენ
განადგურება-გადაშენებას!..
(მონასტრიდან ჩამოდის გივი კოკით ხელში, ნინო დაინახავს და თავისთვის)
ვილაც მწირია...
(უკვირდება) და მერე, ღმერთო,
რა მშვენიერი არის ყმაწვილი!..
სწორედ ცოდვაა ამის მწირობა,
როს უჭირს მამულს ვაჟკაცი შვილი!..
(გივი დაინახავს ნინოს, შეკრთება და მოშორებით დადგება, ნინო გივის)
მშვიდობა შენდა, ჭაბუკო მწირო!
გივი (მდედვარებით)
შენცა მშვიდობა და გამარჯვება!
ნინო (დიმიდით)
ახლოს მოიწი, ნუ გეშინიან:
არ ვარ ალქაჯი, არც მოჩვენება!
(გივი მოდის, ავსებს კოკას და წასვლას აპირებს, მაგრამ ნინო წინ დაუდგება)
გივი (მდედვარებით) რა გინდა?
ნინო (სიტიდით) ქაჯი ბგონივარ?
გივი არა.
ნინო მაშ, მოიცადე! რა გეჩქარება?
(გივი დადგამს კოკას და თან კიოტებით თან აღტაცებით უყურებს. ნინო ტოტა ხნის შემდეგ)
დიდი ხანია მონასტერში ხარ?
გივი თხუთმეტი წელი!
ნინო (გაიოცებს) რას აკეთებდი
მერე იქ ბავშვი?!
გივი როგორ თუ რასა?!
მაცხოვარს ცოდვილს სულს ვავედრებდი.
ნინო (სიტიდით) დიახაც კარგი საქმე გიქნია,
მაგრამ ისეთი რა ცოდვილი ხარ,
რომ ასე ადრე ზრუნვას სულისთვის
და ღვთის ვედრებას შენ შესდგომიხარ?!
(საყვედურით) განგებისაგან მეომრად შექმნილს,
რად მიგიმართავს მონასტრისათვის,
უარგიყვია ქვეყნიერება
და მოგიკლია სამშობლოსათვის
შენი ძალ-ღონე, განსაცდელში მყოფს,
ახლა რომ ასე ძლიერ სჭირდება?
გივი (ნადგდით)
პასუხად მხოლოდ ეს შემიძლიან
გითხრა, რომ დედამ ასე ინება.
ნინო დედამ?! სჩანს, ბევრი შვილი ჰყოლია?
გივი არა, ჩემ გარდა შვილი არა ჰყავს.
ნინო მაშ, აშკარაა, შესძულებიხარ?
გივი არა, არც ვძულვარ.
ნინო აბა, რასა ჰგავს,
რომ ერთად ერთი, შენებრივ, შვილი
ცოცხლად მოუკლავს და დაუმარხავს?!
გივი განა ბერობა, ღვთის სამსახური,
ცოცხლად სიკვდილი და დამარხვაა?!..

მსახიობი ი. ჟვიძე

ავლაბრის სახალხო თეატრის რეჟისორი. დღეს თავის საბენეფისოდ სდგამს „სამეგრელოს მთავარ ლევანს“

*) გასულ კვირის ნომერში ამ პიესის მოქმედ პირთა შორის გამორჩენილია **მანანა**, ნინოს გამდელი; იქვე „მოხუცნი“-ს მაგიერ უნდა იყოს **მსახურნი.**

ნინო მაშ?!. უნდა საქმით ღმერთს ემსახურო,
ის-კი მარტოკა ფუჭი სიტყვაა,
როცა ვაჟკაცი ძალლონით სავსე,
მონასტრის კედლებს შეეფარება
და სულ ლოცულობს, მხოლოდ ლო-
ცულობს...
არა, ის ღმერთს არ ემსახურება!
ღვთის სამსახური იგივ მოყვრისა
სამსახურია, დამეთანხმები,
და რომ შენ შენთვის აქ ლოცულობდე,
ამით ვის რაში გამოადგები?..
მკვდარია უქმი სარწმუნოება,—
ღმერთს ღვაწლი უნდა, არა სიტყვები!..
განა თვით ქრისტე და მოციქულნი
ერთ ადგილს იყვნენ ჩაკეტილები,
თუ დადიოდნენ და ხალხს შველოდნენ,
როგორც მოძღვრები და მკურნალები?.

გივი მაშ ბერობა სულ უნდა მოისპოს!
არ უნდა იყოს არც მონასტრები?..

ნინო მონასტრებს ვსახავ მხოლოდ სკოლებად
და ღირს მოძღვრებად წმიდა მამებსა,
რომ მიმდევარნი საღმრთო წერილის,
უზრდიდენ მამულს კეთილ შვილებსა!
შენც მონასტერში რომ შესულიყავ,
როგორც მოწაფე სასწავლებელად;
წიგნს გაეტაცე და გამხდარიყავ
მეცნიერადა და ღვთისმეტყველად,
რაღა მეთქმოდა?, თუმც, თუ ქვეყანას
შენი მარჯვენა დასჭირდებოდა
და მის საშველად არ წახვიდოდი,
კვლავ საყვედური ჩემგან გხვდებოდა;
თორემ დღეს, როცა მტერი დაგვესხა,
შენთა მოძმეთა სისხლი იღვრება
და საჭირო ხარ, ვით მეომარი,
რად მინდა შენი ლოცვა-ვედრება?..
(დუმილით) მართალს არ ვამბობ?..

გივი (ტანჯვით) ჭეშმარიტებას!
მაგრამ, თუ რომ ხარ ამ ქვეყნიური,
არა ცის შვილი ან ჯოჯოხეთის
და შეგიძლიან დაუგდო ყური
ჩემ ვედრებასა,—ამის შესახებ,
ნუღარას მეტყვი!

(ტრემლ-მორეული) ოჰ, ყველა ქალი
რომ აგრე სჯიდეს, მაშინ მე ვიცი,
რასაც ვიზამდი, ახლა...
(ტრეფლს ვედარ შეიმაგრებს და თვალებზე ხელს
მიიფარებს)

ნინო (ოანაგრძნობით თავისთვის) საწყალი!..
(ცოტა ხნის შემდეგ მხარზე ხელს დაადებს
და ტკბილად)
კარგი, დამშვიდდი!.. ქალის საქმეა
ტირილი,—ვაჟკაცს არ მოგიხდება!..
(დუმილით) თუ მართლა ასე გიმძიმს აქ ყოფნა,
წადი აქედან და ის იქნება!..
(დუმილია) გინდა ახლავე ჩემთან წამოდი!,.
ოჰ, დამიჯერე, ტყვილად ნუ სცდები!
ჩაგაცმევ ჩემი ძმის ტანისამოსს
და დღესვე მის ჯარს შეუერთდები!..
(გივი იტანჯება; ნინო ხელს მოჭიდებს და
უნდა, კიდეგ უთხრას რაღაც, მაგრამ ამ დროს
შემოდის გრძელის ჯოხით ხელში, შავებით
მოსილი, შუახნის, დამაზი, თუმცა მკაცრ გა-
მომეტყველების მქონებელი მართა, ნინო გა-
გონებს ფეხის ხმას, დაინახავს მართას და,
შემკრთალი მოშორდება გივის)

მართა (მკაცრად გივის)
გიორგი, ამ დროს აქ რას აკეთებ?!.

გივი (მდედგარებით) წყალზე მოვედი...
(აიდებს კოკას. მართა წარბებ შეკრული მი-
ასტერდება ნინოს)

ნინო (მდედგარებით) აქვე მახლობლად
ჩვენ სამკურნალო ბალახებს ვკრებდით
(აჩვენებს კალათს)
და აქ მოვედი დასასვენებლად.

მართა (უკმეხად) რის სამკურნალოს?..

ნინო როგორ კითხულობ?!
რის და ჭრილობის! არ იცი განა,
რომ მტრის ლაშქარი შემოგვესია
და სისხლით ირწყვის ჩვენი ქვეყანა!..

მართა (გაჟრჟოლებს და გივის)
რაღას უდგიხარ? წამო წავიდეთ!..
(გივი გულდაწყვეტილი შეხედავს ნინოს,
დაიდებს კოკას მხარზე და მიდის. მართა უკან
მიუვება. შემოდის მანანა და ჯერ გივის შეხე-
დავს და შემდეგ გაკვირვებით მიაჩერდება
მართას)

მანანა (როცა გივი და მართა გავდენ, შუა-
ლზე ხელის შემოკვრით)
ღმერთო, ვინ ვნახე!!

ნინო ვინა, მანანა?
იცნობ იმ ქალს თუ?

მანანა როგორ არ ვიცნობ!

ნინო ვინ არის?
მანანა მართა, ოთარის ქვრივი.
ნინო (მღელვარებით) მაშ, მწირიც ..
მანანა ალბად, იმისი
უკანასკნელი შვილია, გივი!..
ნინო (აღშფოთებით)
ოჰ, ის შეშლილი! განა ოთარის
შვილსა მწირობა შეეფერება?..
მანანა ყველას შეშლიდა მას რომ გადახდა
ის საშინელი უბედურება!..
ხუმრობაა, ქმრის და ორი შვილის
ომში სიკვდილის ერთ დღეს გაგება?..
ალბად, არჩია, ეცოცხლა გივის
და ყოფილიყო თუნდაც ბერადა!..
ნინო რაღა სიკვდილი, რაღა სიცოცხლე?
ის ჩაითვლება განა ცოცხლადა?..
სცოცხლობს არწივი, ფრთებ შეკვეცილი,
და გალიაში საბრალოდ მჯდარი?
სცოცხლობს ვაჟკაციც მონასტრის
კედლებს
შეფარებული, ლაჩრად გამხდარი?..
არა! ის უნდა მამულს იცავდეს,
მამულიშვილთა შორის რჩეული
და არა კოკით წყალსა ზიდავდეს,
მონად... პირუტყვად გადაქცეული!..
მანანა მერე რომ მოკვდეს ისიც, ძმებსავით
ვაჟკაცობასაც ვერ მიღწეული?
ნინო მოკვდეს! . სიკვდილი სახელოვანი
სჯობს, თუ სიცოცხლე, სირცხვილეული?
მანანა კი, მაგრამ დედას რა ეშველება?
ქმრისა და ორი შვილის ქვეყნისთვის
მსხვერპლად შემწირველს არ აქვს უფლება,
რომ ერთი მაინც ჰყავდეს თავისთვის?..
ნინო საკვირველია, რომ ამისთანა
მესმის, მანანა, შენგან სიტყვები!...
განა არჩევდი რომ მოსწრებოდნენ
ნაძრახ სიბერეს შენი შვილები,
ვიდრე ქაბუკნი დახოცილიყვნენ
სამშობლოსათვის, როგორც გმირები?..
მანანა ეჰ, ჩემო ნინო, დედობრივ გრძნობას
სავსებით მხოლოდ მაშინ მიხვდები,
როცა გამოცდი მშობლიურ ტანჯვას,—
როცა შენ თვითონ დედა გახდები!..
არამც უბრალო ჩვენ მომაკვდავნი,
ცხარე ცრემლს ღვრიდა თვით ღვთის-
მშობელი,
რომ უყურებდა ჯვარზე იესოს,
თუმც სწამდა, იყო ის ქვეყნის მხსნელი!..
ნინო რაღა თქმა უნდა, ყოველ დედისთვის
ჯოჯოხეთია შვილის სიკვდილი;
მაგრამ ეს მაინც არ გვაძლევს ნებას,
რომ მარტო ჩვენად ვიგულოთ შვილი!..
ნამეტურ, როცა მშობელი მხარე
ჭირშია, როგორც დღეს ჩავარდნილი,
ვის შეუძლიან წაართვას იმას
მისი დამცველი მამულიშვილი?..
სამშობლოც იგივ დედა არ არის,
მისგან არა ვართ ყველა გაზრდილი?
და თუ ჩვენ მისთვის თავს არ გავწირავთ,
ხომ მოისპო ის, მტრისგან ალგვილი? .
არა და არა! შვილი ოთარის,
ნაცარქექიას დამზგავსებული,
აქ ვერ დარჩება ამისთანა დროს,
გასაწყლებული, დალაჩრებული!..
(მუქარით მონასტრისაკენ)
დიაღ, ბატონო, ტყუილად ჰფიქრობთ,
წაართვათ მამულს ვაჟკაცი შვილი
და აქ ჩაალპოთ, როცა განგებით
მეომრადაა ის გაჩენილი!..
(შემოდიან ქალიშვილები და ეძებენ მო-
მორებით; ნინო დაინახავს ამათ და მანანას)
დროა, წავიდეთ!.. დღეისთვის კმარა,
ხვალ კი ვილონოთ ღონე ახალი,
რომ დაუტოვოთ მკვდარს მხოლოდ
მკვდრები
და დაუბრუნოთ ცოცხლებს ცოცხალი!..
(მიდის. მანანა და ქალიშვილები უკან მიჰყ-
ვებიან, რამდენსამე ხნის შემდეგ შემოდის მართა),
მართა (გაიხედ-გამოიხედავს და კმაყოფილი)
წასულან!..
(ნაღვლით) მაგრამ არ შეუძლიან
განა საზიზღარს კვლავ დაბრუნება,
რომ, რაც მე წლობით მიშენებია,
მან დაანგრიოს ერთ დღეს უცებ?..
(ცისკენ) ოჰ, ღმერთო, ნუ თუ ამდენი ტანჯვა
და ცდა ტყუილად დამეკარგება?

ნუ თუ იმასაც მე წამართმევენ,
მამის და ძმების ბედი ერგება
და სულს უდროოდ დალევს ბრძოლაში?..
(ხელს გაიქნევს)
ოჰ, არა, არა, არ შეიძლება,—
იმას ვერავის ვერ დავანებებ!
იგი ჩემია; მე მაქვს უფლება
სამი შვილისა დედას, უბედურს,
რომ ერთი მაინც მე მეკუთვნოდეს,
ცოცხალს ნუგეშად და, რომ მოვკვდები,
სულის მეოხად მეგულებოდეს!..
(ხელს გაიშვერს სივრცეში და მრისხანედ)
შორს, შორს წყეულნო, აქ სამეფოა
მხოლოდ ღვთის მიმართ წმიდა ლოცვისა
და ბედისაგან ნაწამებ დედის
სიყვარულის და მწარე ტანჯვისა!..
(ხელი კვლავ გაწვდენილი აქვს და გასცქერის სივრცეს)

ფარდა.



(შემდეგი იქნება)

გამხდარი ვარ?

(გაგრძელება. იხ „თ. და ც.“ № 18)

II

— აა!.. შენა ხარ ვანო კუნძიაშვილი?.. შეეკითხა შესვლისთანავე ექიმი და უბრძანა ტანთ გაეხადნა.—ექიმი ოდნავ მიეკარა ვანოს გამხდარ სხეულს, მერე უბრძანა ისევ ჩაეცვა.—არა, რა ღმერთი გიწყრებათ ქართველებს, რომ სუყველა დაყვითლებულები და ასრე გამხდრები ხართ, ჰა?.. ალბათ ლობიოსა და ჭადის მეტს არაფერს არ უნდა სჭამდეთ?—ჩაილაპარაკა ექიმმა და ხელების ბანვას შეუდგა.

— რასა ბრძანებთ, ბატონო!.. ლობიოსაც გეახლებით ხოლმე და ქათამსაც... როგორც მოგვიხდება...—უპასუხა მოკრძალებით ვანომ და ჯიბისაკენ წაიღო ხელი.

— ეგ ფული ჯიბეში ჩაიდე ისევ. აი, ეს ქაღალდი მიუტანე შენს უფროსს და ახლა მან იცის.—უბრძანა ვანოს ექიმმა და მაგიდაზე გადაშლილს წიგნს მიუჯდა.

ვანომ დაბლა დაუკრა თავი, აიღო ქაღალდით და გახარებული უფროსისაკენ გაქანდა.

გარბოდა ვანო და ათას გვარი ბედნიერება ეხატებოდა თვალწინ. მთელი ის სადგური, შენობები, ლიანდაგები და მატარებელთა ხროვა, სულ თავის საკუთრებად წარმოუდგა. მომავალი ბედნიერებით გატაცებული, რკინის გზის სამსახურში სთვლიდა უკვე თავს: უფასო სამგზავრო ბილეთები, უფასო ბინა და განათება, ჯამაგირი, უფასო ექიმობა, შვილების სასწავლებელში უფასოდ აღზრდა და ბევრი სხვა და ისრე შეიპყრო ოცნებამ, რომ ცოტა გასწყდა კინაღამ ლოკომოტივმა არ გასრისა.

— მთვრალი ხომ არა ხარ, შე ოხერო?!. გძინავს თუ რა ღმერთი გაგწყრომია?.. კინაღამ ცოდო შეგვამთხვიე, შე მუდრეგო!..—შეჰყვირა აღელვებულმა მეისრემ და ფერ-მიხდილი ვანო ლიანდაგს იქით გადააგდო.

შეშინებული ვანო ძლივს მოვიდა გონზე. მორცხვად მიიხედ-მოიხედა, გადისახა პირჯვარი და კანტორისაკენ გასწია.

— ჰმ... და!..—ჩაილაპარაკა უფროსმა, როდესაც ვანოსაგან მიტანილი ქაღალდი გადიკითხა და თანაგრძნობით თავი ჩააქნია.—უვარგისად უცვნიხარ ექიმს. ის იწერება, მეტად გამხდარია, სისხლ-ნაკლები და სამსახურში ვერ გამოდგებაო. ძრიელ ვსწუხვარ, მაგრამ მე არაფერი შემიძლია. ეცადეთ, ეგება სხვაგან იშოვოთ ადგილი.

— მე...მე...ბატონო!.. სამხედრო სამსახურში გახლდით... იქ არავის დაუწუნივარ და აქ რა ღმერთი გამიწყრა?..—ჩაილუღლუღა ზარდაცემულმა ვანომ და თვალებზე ცრემლები მოადგა.

— აკი მოგახსენეთ, ახლა ჩემი საქმე აღარ არის მეთქი? ამის შესახებ ექიმს უნდა მოლაპარაკებოდი. შეგიძლიათ წახვიდეთ.—უპასუხა უფროსმა და წასვლა დააპირა, მაგრამ მას ვანო გადაეღობა გზაში და აკანკალებულის ხმით მიმართა:

— რათა, შენი ჭირიმე, რათა?.. რას მემართლებით?.. ნუ დამღუპავთ...— შეეეედრა და მუხლებზე დაეცა.

— აღარასფერი არ შემიძლია. გათავებულია! მიახალა გადაჭრით მოთმინებიდან გამოსულმა უფროსმა და გარედ გავიდა.

— მაშ... სამსახურში არ გამოვდგები?.. გამხდარი ვარ?.. რა ჩემი ბრალია, რომ გამხდარი ვარ?.. გაჭირვებამ მიყო ეს... რას აშავებს ეს სიგამხდრე, თუ-კი ისრე კარგად ვარ?. მაგრამ, როდესაც კაცს ბედი არა გწყალობს, თავი რო მოიკლა—ისა სჯობია.— ჩაილაპარაკა ნაღვლიანად ვანომ და ბანცალით გარედ გამოვიდა.

— არ ვარგივარ და ნუ ვარგივარ რა!.. ჩაილაპარაკა კიდევ, მიმქრალი საყვედურით აღსავე თვალები ერთხელ და საბოლოოდ კიდევ მიმოავლო ნაღვლიანად რკინის გზის შენობა-ლიანდაგებს და შურდულსავით, თავ-ჩაღუნული პირდაპირ სამიკიტნოსკენ გაჰქანდა.

ნიკო სიხარულიძე

(დასასრული იქნება)

თეატრის ისტორია

უძველეს საბერძნეთის თეატრი

სოფოკლე უძველეს საბერძნეთში გამოჩენილი დრამატურგი იყო. მისი დრამები ესხილოსის დრამებისაგან ძალიან ბევრით განსხვავდებოდა. ესხილოსი თუ ზ.ზდის, შურისძიებისა და სიყვარულის საუკეთესო გამომოქმედი იყო, სა მაგიერად ამაში სუსტობდა სოფოკლე. სოფოკლეს დრამებს არ შეეძლო განცვიფრების კამოწვევა. იგი არაფერით არ იყო გატაცებული. მის დრამებში არც მისუსტება-მოდუნება სჩანდა. სოფოკლე ქრისტეს დაბადებამდი 497—406 წლებში ცხოვრობდა. მან პირველად სცენაზე ერთსა და იმავე დროს მესამე პიროვნება გამოიყვანა. ცოტა ხნის შემდეგ დრამებში სამი რიცხვი საბერძნეთის სხვა მწერლებმაც მიიღეს. ზოგიერთი მწერალი კიდევ უფრო შორს წავიდა და განსაკუთრებულ შემთხვევაში ამ სამ რიცხვს უმატებდა კიდევ ერთს.

სცენაზე მეტი მსახიობების გამოყვანამ გუნდის მნიშვნელობა თანდათან დასცა. სოფოკლეს დრამებში გუნდს თუმცა აქვს დიდი მნიშვნელობა, მაგრამ მისი როლი კი ძალიან შეიცვალა. წინად ის იყო ცენტრი წარმოდგენისა და მოქმედი ყველაფრისა, ახლა კი წინამძღოლების გამრავლებამ მას ეს როლი შეუცვალა და სცენაზე მოქმედების მხოლოდ მოწმე გასდა. ამგვარი შინაარსისაა სოფოკლეს დრამატრაგედიები: ანტიგონა, ელექტრა, ტრახინელი ქალები, მეფე ოიდიპოსი, აიაქსი, ფილოქტეტე და ოიდიპოსი კოლონაში. სოფოკლეს დრამა-ტრაგედიებიდან ჩვენამდი მხოლო ამ შვიდმა პიესამ მოაღწია. გუნდს დარჩა ბრბოს როლი და აგრედვე გმირის მხლებლებისა, მოსამსახურეებისა და ან მეგობრებისა.

როგორც ვიცით, საბერძნეთის დრამების შინაარსი აგებული იყო დმერთებსა და გმირებზე გაგრცელებულ მითებზე. ეს დრამები მდიდარი მასალა შეექმნა საბერძნეთის ტრაგედიის განსავითარებლად. ტრაგედია სიტყვა-სიტყვით თხის სასიმღერო ნიშნავს. ეს სიტყვა იქიდან წარმოსდგა, რომ დღესასწაულის დროს დმერთის საკურთხეველთან მიუყვანთ თხა და ჭკლავდენ. ტრაგედია მაყურებელში სასტიკ კანონისადმი შიშს იწვევდა, ხოლო გმირებისადმი კი თანაგრძნობას.

ესხილოსის, სოფოკლეს და ევრიპიდის ტრაგედიებმა საბერძნეთის ტრაგედიების შინაარსი ცხოვრებასთან დაახლოვა. ესხილოსის დრაგედიის მომქმედი პირი, დმერთი იქნებოდა ის თუ გმირი, ბრძენთა წარმოდგენით გამოხატავდა საუკეთო რაიმეს დმერთსა და ადამიანს შორის. სოფოკლემ გამოიყვანა სცენაზე ადამიანებიც, მაგრამ არა ისეთი, როგორიც იყვენ არამედ როგორიც მისი აზრით უნდა ყოფილიყვენ. არც ევრიპიდი გაურბოდა ჩვეულებრივ ხალხის ცხოვრების გამოხატვას თავის ტრაგედიებში.

მხიარული და სიცოცხლით სავსე ბერძენი ხალხი მარტო ჭიმნების სიმღერით არ ეგებებოდა. დვინის დმერთის დიონისის დღესასწაულს. როგორც დღეს სახალხო დღესასწაულზე მღერიან მხიარულ სიმღერას, ხუმრობენ და იცინიან, ასევე იყო ელადაში დიონისების დღესასწაულზე.

დღესასწაულის მხიარული ნაწილი ე. ი. ხუმრობა და სიცილი გახდა საძირკვლად კომედიისა.

კომედიის დანიშნულება იყო გამოეწვია ადამიანში არა შიში და შებრალება, არამედ სიცილი და მხიარულება. კომედიამ თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს ტრაგედიის განვითარების შემდეგ მიაღწია. საუკეთესო ხალხი ამჩნევდა ხალხის საფრთხის მოახლოვებას და ცდილობდა ხალხისთვის კომედიაში ეჩვენებინა მისი ცხოვრების ეს უარყოფითი მხარეები. კომედიის მწერალთ გამოჰყავდათ სცენაზე და ხდიდენ მას საყოველთაო დაცინვის საგნად.

კომედია საბერძნეთის მაშინდელ ცხოვრებაში დიდ პოლიტიკურ როლს თამაშობდა. კომედიაში შესაძლებელი იყო გამოეყვანა ყოველი ცოცხალი პირისა. კომედიაში ხშირად დაცინვის საგნად ხდებოდა უმაღლესი თანამდებობის პირი. მაშინ ბერძნებში გავრცელებული იყო პარტიობა, შური და ცილობა ერთმანეთს შორის. ამგვარი ხალხის ხელში კომედია მოწინააღმდეგის გასაწბილებელი ბასრი იარაღი იყო. მექიშპე ხალხის ხელში კომედია ხშირად უკეთილშობილეს ადამიანებისა და აზრების წინააღმდეგ ილაშქრებდა. საზოგადოთ თეატრს ისეთი თავისუფლების დღეები არ განუცდია, როგორიც განიცადა მაშინ.

საბერძნეთის კომედიების უდიდესი წარმომადგენელი იყო პელოპონეზის ომის დროს მცხოვრები არისტოფანე და ქრისტეს დაბადებამდი 342 წ. მცხოვრები მენანდრი. არისტოფანეს დაბადების ან სიკვდილის წელთ აღრიცხვა ისტორიას არ მოეპოვება. არის მხოლოდ ისტორიული ცნობა რომ ის ცხოვრობდა პელოპონეზის ომის დროს და რომ მისი პირველი კომედია წარმოადგინეს ქრისტეს დაბადებიდან 437 წ., ხოლო უკანასკნელი პიესა კი 390 წ. არისტოფანე კომედიებს 34 წ განმავლობაში სწერდა. მის კომედიებიდან დღემდი მოაღწია მხოლოდ 11 კომედიამ. ამათში ცნობილია „მხედრები“, „მშვიდობიანობა“, „ღრუბლები“ და „ქალების კრება“. არისტოფანეს სცენაზე გამოჰყავდა უძლიერესი პოლიტიკური მოღვაწეები. ის ხანდახან თვით მსახიობად გამოდიოდა სცენაზე. არისტოფანე გაბედული სიტყვის პატრონი იყო და იცოდა მწარე დაცინვა. მას უწოდებდენ უშვერ, უმართებულო და თავხედ მწერალს.

როგორი იყო თვით თეატრის შენობა ამ დროს საბერძნეთში, ამაზე შემდეგ.

გიგლა მებუკე

ქართული სახ ობა

სახალხო სახლში სახ. წარმ. მმარ. წრის მიერ კ. შათირიშვილის რეჟისორობით 2 მაის წარმოდგენილ იქმნა „მელანიას ოინები“. პიესა უფრო კარგად ჩაივლიდა, რომ ნ. გოცირიძის (პავლე მედროგე) მაღალმხატვრულ და ელ. ციმაკურიძის (მელანია) გონივრულ-დაკვირვებულ თამაშისთვის დანარჩენთაც მხარი მიეცათ. დანარჩენთაგან აღსანიშნავია პ. კორიშელი (ამაღლაძე), დ. ბაქრაძე (ხარაბაძე) და ს. რომანიშვილი (არუწა). თითქო სცენის მოყვარეთ არ უმეცადინიათ, დაბნეულებივით იყვენ... **უსავანო**

სალიტერატურო დილა სახ. სახლში 3 მაისს საუცხოვო იყო, როგორც გარეგანი მხატვრული მხრით, ისევე შინაარსით. დილას რაღაც ახალი, ცხოველი ელფერი ედო. ვ. ბურჯანაძემ წაიკითხა იპ. ვართაგავას ლექცია „აკაკი, როგორც სატირიკოსი“ (ნაწყვეტი), ბ. ახოსპირელმა, ს. აბაშელმა გრ. რობაქიძემ. და გ. ქუჩიშვილმა საკუთარი ლექსები წარმოსთქვეს, გ. ამირეჯიბმა წაიკითხა საკუთარი მინიატურა „ოცნების კიბე“ (ამავე ნომერში იბეჭდება). მეორე განყოფილებაში საუცხოვო იყო ცხოველი შარჟები (ი. სარაჯიშვილი—მ. ჭიაურელი, ი. გრიშაშვილი—დაროშვილი, გ. ქუჩიშვილი—ვ. კობახიძე) და თაგუნას ლექცია „სალიტერატურო დილა“. აპ. წულაძემაც დროის შესაფერი რამდენიმე სცენა წარმოსთქვა. საზოგადოებამ მეტად ისიამოვნა. **წ—რი**

ქართველ მსახიობთა ამხანაგობამ მ. ქორელის რეჟისორობათ სახ. სახლში 5 მაისს წარმოადგინა „ჰამლეტი“, რამაც დიდძალი საზოგადოება მოიზიდა. ჰამლეტის როლს ასრულებდა ი. ზარდალიშვილი. ახალგაზრდა მსახიობი გვარიანად თამაშობდა, მაგრამ ჰამლეტის სულისკვეთებასა და განცდას სავსებით ვერ სახავდა... საუცხოონი იყვნენ ტ. აბაშიძე (ოფელი), ეფ. მესხი (დედოფალი) ვ. აბაშიძე მესაფლა გ. გედევანოვი (პოლონიუსი) და ალ. იმედაშვილი (აქტიორი). შეგნებით თამაშობდენ ზ. გომელაური (ჰორაციო) და მ. ჭიაურელი (როზენკრანც)

დასასრულ... ღმერთო გვიხსენ იმ შემზარავ ღოროტოტოებისაგან, მეფის სასახლეში რომ გვასმინეს... არც ისაა კარგი, მსახიობნი რომ კედელ-სვეტებს თვისი ხახუნით არხევენ. **წინამძღვარი**

აშუღების საღამოს „არტისტ. საზ.“ დარბაზში ბლომა საზოგადოება მოიზიდა. ზოგიერთმა სიმღერალექსებმა დასოლოებმა დამსწრენი დიდათ ასიამოვნა. მეთარე-მექიანურენი მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს, ზოგთ გაამეორებინეს. საღამო მოაწყო „ქართ. კულტ. მოკვ“. საზოგადოებამ —დაწვრილებით შემდეგ.

მ—ე

ბაქოში სეზონის გამოსათხოვარი წარმოდგენა ქ. შ. წ. კ. დრამატ. წრის მიერ გაიმართა კვირას, 26 აპრ. სომ. კაცთ-მოყვ. საზ. დარბაზში. ეს უკანასკნელი წარმოდგენა სამის განყოფილებისაგან შესდგებოდა. პირველ განყოფილებაში წარმოდგენილ იქმნა ი. გედევანიშვილის „მსხვერპლის“ I და 3. მოქმედება. სანამ წარმოდგენა დაიწყებოდა, ფარდის წინ გამოვიდა ბ-ნი შალვა დადიანი გლეხურად (გიგუას ტანისამოსში) ჩაცმული და საზოგადოებას მოკლე განმარტებით გააცნო აწ განსვენებულის ნიკო ლომოურის პიროვნება; საზოგადოებამ ლომოურის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა, რის შემდეგაც დაიწყო წარმოდგენა. პიესამ რიგიანად ჩაიარა, მონაწილენი თავიანთ ალაგას იყვნენ. კარგები იყვნენ: ქ—ნი ელ. ანდრონიკაშვილი, წულუკიძისა, (მარიამი) ბ. ბ. შ. დადიანი (გიგუა), ბ. ხონელი (ბოქაული), აწყურელი (საქო), არა უშავდათ მატარაძეს (ვანო). გ. პავლიაშვილს (გაბუა). მასიური სცენები მკრთალობდა.

მეორეში—დასდგეს დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“. ბევრი აცინეს საზოგადოება: ბ. ბ ქარქაშიძემ (დარისპანი), შ. ხონელმა (ოსიკო) და ქ. ელ. ანდრონიკაშვილმა (კაროჟნა). არა უშავდათ დანარჩენებსაც.

სანამ მესამე განყოფილება—დივერტისმენტი დაიწყებოდა, ბ-ნმა რეჟისორმა საზოგადოებას სცენიდან წარმოუდგინა სცენის მოყვარეთა მთელი შემადგენლობა და როგორც საზოგადოებას, ისე სცენის მოყვარეებს მიმართა გამოსათხოვარი სიტყვით. დამსწრეთ მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს რეჟისორიც და მისი მოწაფეებიც.

დივერტისმენტში შ. დადიანი წარმოგვიდგა ისე, როგორც მწერალი, და წაიკითხა საკუთარი, ლამაზი ეტიუდები. დიდათ ნასიამოვნებმა საზოგადოებამ იგი ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა და ოვაციები გაუმართა.

საკუთარი ლექსები წაიკითხა ლ. გეგეჭკორმა. ლექსები შინაარსიანი და ლამაზი იყო, ხოლო მისგან „მამაო ჩვენო“-სებურად წაკითხვამ ფარული სიცილი გამოიწვია დამსწრეთა შორის. ლექსები წაიკითხა ი. ზერეკიძემაც ვ. რუხაძის „დამნაშავე ცხოვრებაა“ რიგიანის დეკლამაციით, ხოლო უცნაურად მოუვიდა რომ არ გამოაცხადა წინ-წინ, — ვისი იყო ლექსები, ბევრი გვაცინა ბ. ხონელმა იმერული სცენების მოხდენილად წაკითხვით.

დასასრულ იმღერა პიანინოს აკომპანიმენტზე ბ—ნმა ა. ქუმბურიძემ და რამდენიმე ნომერი შეასრულა რუსულ-ქართულ ენებზე.

საერთოდ „წარმოდგენა—საღამომ“ მშვენივრად ჩაიარა, სადღესასწაულო ელფერი ჰქონდა. ხალხი ბლომად დაესწრო და $12^1/_2$ საათზე კმაყოფილი დაიშალა.

გულისაბა

ქ. თელავის (21 აპრ.) საკრებულო დარბაზში გაიმართა მომღერალ სავიცკი—რუსსელის სალიტერატურო საღამო, მსახიობ ალ. შანშიაშვილის და პიანისტ ა. დიდებულის მონაწილეობით, როგორც მათ აღნიშნეს აფიშებში. ერთი სიტყვით ყველაფერი იყო და თუ ცალ-ცალკე ავიღებთ— არაფერი.

უნდა შევნიშნოთ, რომ პროვინციაზე ბევრს არა აქვთ სწორე წარმოდგენა, მათ ჰგონიათ რაც უნდა დადგან, როგორც უნდა ითამაშონ, პროვინციელები მაინც დაკმაყოფილდებიან. შეიძლება ეს წინედ-ოდესღაც იყო, ახლა-კი ასე არ არის, ის მოითხოვს სერიოზულ პიესებს და კარგ მოთამაშეებს.

ამ საღამოთი დადგეს შილლერის „ყაჩაღები“-დან ერთი მოქმედება, რომელშიაც ბ-ნ შანშიაშვილს არა უჭირდა რა, მაგრამ ვისაც მთელი პიესა არ უნახავს, მან ვერაფერი გაიგო.

შემდეგ სავიცკი—რუსსელმა შეასრულა რამდენიმე სიმღერა, ხოლო დიდებული როიალზე უკრავდა. ზოგიერთი ნომრები საზოგადოებას მოეწონა, თუმცა საზოგადოებამ ტაშის კვრას უფრო მეტი დრო მოანდომა, ვიდრე აქ განყოფილების მოსმენას, მაგრამ ეს საზოგადო სენია ჩვენში.

მსახიობმა ნ. მამულაშვილმა რამდენიმე ლექსი წაიკითხა, რომელიც წინედაც მოგვისმენია, უნდა ვთქვათ, რომ ზოგ ლექსებს მაგ. „ბუდას“ მართლა კარგად კითხულობს, აგ არის ზოგჯერ მეტად უსუნთქებლივ ამბობს და მიმიკას რომ უკლებდეს, უფრო კარგად გამოვიდოდა.

ბ. დარიშვილმა წაიკითხა ბ. გრიშაშვილის ლექსები მისივე მიბაძვით და მეტად ზედმიწევნით წაამსგავსა. ზოგ ნაწყვეტებში თითქოს ჩვენი ახალგაზრდა პოეტი კითხულობსო, ასე ეგონებოდა მსმენელს.

დასასრულ წარმოადგინეს „ტიპოთეს ლედვი“.

თუმცა უკანასკნელად ითამაშეს, მაგრამ რა

ადგილი ჰქონდა ამ ვოდევილს ამ საღამოს—გაუგებარია.

ჩვენი მსახიობები თბილისიდან მოდიოდნენ, რამდენიმე კაცი, და უნდა რაიმე მთლიანი შინაარსიანი პიესა აერჩიათ, რომ საზოგადოებაზე რაიმე შთაბეჭდილება მოეხდინათ, მით უმეტეს ქალის როლში მათ შეეძლოთ ესარგებლათ ჩვენი მსახიობქალის თამრო გოკოლაშვილის სახით, რომელიც თელავში სცხოვრობს, და რომელსაც არა ერთხელ დაუტკბია თელავის საზოგადოება თავის ნიჭიერი თამაშით.

დავიწყებული

წვრილი ამბები

✦ **დღეს სახალხო სახლში** გაიმართება ლიტერატურულ-მხატვრულ პლასტიური დილა. მონაწილეობენ ქართველი ახალგაზრდა მწერალნი, მომღერალნი და საბალეტო ხელოვნების მსახიობნი. სხვათა შორის იმღერებენ ივ. სარაჯიშვილი და დვ—აშვილი.

✦ **სახალხო სახლში** ხვალ, 11 მაისს ნაშუადღევის $12^1/_2$ ს. გაიმართება ვ. გუნიას „დილა-მეჯლისი‘‘: ლექცია, სიმღერა, კუპლეტები, სცენები და ლექსები.

დღეს ავლაბრის თეატრში ი, ქივიძის საბენეფისოდ ვ. გუნიას და ქ—ნ ხონელის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „სამეგრელოს მთავარი ლევანი“.

✦ **ქართველ მსახიობთა** ამხანაგობა ოთხშაბათს, 13 მაისს, სახალხო სახლში წარმოადგენს „ოტელო“ს. ოტელოს როლს შეასრულებს ალ. იმედაშვილი.

✦ **ახალგაზრდა მხატვარი გრ. მესხი** გასულ კვირას თბილისს ჩამოვიდა კავკასიელ მხატვრებთან მოსალაპარაკებლად, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ ქუთაისში სურათების I გამოფენაში. მხატვრები უკვე დაეთანხმენ გამოფენა გაიმართება ენკენისთვიდან. გრ. მესხი ამითი მეორე გამოფენას მართავს (პირველი გამოფენა 1910 წ. გამართა თბილისში, მოსკოველ მხატვრების ნაწარმოებთა, რამაც დიდათ დააინტერესა საზოგადოება). ამ გამოფენის ხარჯებს კისრულობს ქუთაისის საეთნოგრაფიო საზოგადოება, მასთან უთმობს დარბაზს სურათების გამოსაფენად. ასეთ გამოფენებს დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით მოზარდი თაობისთვის, და სასურველია, ვისაც რითი შეუძლიან ხელი შეუწყოს.

✦ **ხარფუხის კლუბმა მიიწვია** ხუროთმოძღვარი ს. კლდიაშვილი და მიანდო როტონდის გადაკეთება და სცენის გაკეთება. ს. კლდიაშვილი 4 მაისიდან უკვე საქმეს შეუდგა.

✦ **ქართ. კულტ. მოყვარულთა საზ-ის** კრება მოხდება 13 მაისს, დეპუტატთა საკრებულოში. განსახილველია სალონის დაარსების საკითხი, ანგარიშები და სხვა მიმდინარე საქმეები.

✦ **ორი სიტყვა**: 1) ივ. გომართლის ,,აკაკი“, აკაკის დილაზე წარმოთქმული და 2) კიტა აბაშიძისა—„აკაკი და ილია“, რომელიც ამავე დილაზე უნდა წარმოთქმულიყო, ცალკე წიგნად იბეჭდება ქართ. კულტ. მოყვარულთა საზოგადოების“თაოსნობით და ამ მოკლე ხანში გასასყიდათ გამოვა.

✦ **„ქართველების ისლამთან დაკავშირება“**, ისტორიულ საბუთებით და ზეპირგადმოცემებით შედგენილი ზ. ჭიჭინაძის მიერ, ცალკე წიგნად იბეჭდება. წიგნი შეიცავს 400 გვ. ხელის მოწერით 1 მ. ღირს.

✦ **დღეს ბაქოში** გაიმართება „საღამო-მეჯლისი“.

✦ **„ახალი კვალი“**, ახალი კვირეული გაზეთი, გასულ ორშაბათს გამოვიდა ქუთაისში. ნომერში, სხვათა შორის, ცნობილ პუბლიცისტის **ან-ის** საყურადღებო წერილია (რა არის სამშობლო?) დაბეჭდილი.

✦ **თამაროგას 1 მაისს** დიდძალი საზოგადოება - ხალხი დაესწრო. სწირავდა პიტირიმ ექსარხოსი, ანტონ და პიმენ ეპისკოპოსთა და ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით. ტაძარს თამარის ხატით ლიტანიით შემოუარეს. პიტირიმმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. წირვას დაესწრენ, სხვათა შორის, მეფის მოადგილის მეუღლე, თავ.-აზ. მარშალი, მუსულმანთა, პრესისა და სხვა წარმომადგენელნი.

✦ **ისტორიკოს დ. ბაქრაძის** გარდაცვალებიდან 25 წ. შესრულების აღსანიშნავად გასულ კვირას ქართ. ეთნ. საზ-ის თაოსნობით დიდუბის ტაძარში პანაშვიდი გადაიხადეს, სადამოთი—დეპუტ. საკრებულოში შინარსიანი მოხსენება წაიკითხა მ. ჯანაშვილმა.

✦ **ვანო გიგოშვილი გვთხოვს** გამოვაცხადოთ, რომ „თეატრი და ცხოვრების“ მე 16-ე ნომერში მოთავსებული წერილი ავლაბრის წარმოდგენის შესახებ მას არ ეკუთვნის.

✦ **მხატვარი გიგო ზაზიაშვილი** ხატავს ახალს სურათს თამარ მეფის ცხოვრებიდან.

✦ **სიმღერა-გალობის მასწავლებელს ნ. კავსაძეს** განუზრახავს შეაერთოს ყველა ქართული გუნდები და ერთი დიდი კონცერტი გამართოს სანდრო კავსაძის ლოტბარობით დაზარალებულ აჭარელთა და ქართ. თეატრის სასარგებლოდ.

✦ **გარე-კახეთის მოწინავე ახალგაზდობას** განუზრახავს დაარსოს გარე-კახეთის დრამატიული წრე მთელ გარე-კახეთის სოფლებში წარმოდგენების სამართავად.

✦ **ნ. სულხანიშვილს სასულიერო კონცერტი**, რომელიც ამას წინად უნდა გამართულიყო თელავში, გაიმართება დღეს 10 მაისს.

✦ **ქართული მართლწერის** შესახებ ქართ. კულტურის მოყვ. საზ-ის თაოსნობით და გ. ჟორდანის თავმჯდომარებით მღ. მელ. კელენჯერიძემ(6 მაისს საექ. საზ. დარბაზში, ხოლო 7 მაისს დეპუტატთა საკრებულოში) საყურადღებო მოხსენება წაიკითხა.

Дозволено Военной Цензурой. **რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა**

მიიღება ხელის მოწერა.

ამა 1915 წ. ენკენისთვიდან გამოვა სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო ყოველთვიური ჟურნალი

„ახალი მოამბე“

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, დემოკრატიულ-პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში უმახლობელეს მონაწილეობას მიიღებს ივანე სპ. ელიავშვილი, თანამშრომლებად მოწვეულნი არიან ჩვენი ცნობილნი მწერალნი

ჟურნალში დასაბეჭდად მოწონებულ ნაწარმოებთა ავტორებს მიეცემათ შესაფერი ჰონორარი

პირველი ნომერი გამოვა ენკენისთვის 20—25-დე, ზომით 15—20 ფორმამდე

რედაქციის ბინა: თბილისი. ყაზბეგის ქუჩის შესახვევი № 4. ფოსტით: Тифлисъ, ред. груз. жур „Ахали Моамбэ“.

ფასი: წლიურად 10 მ., ნახევარი წლით—6 მ., ხოლო ამა წლის ენკენისთვიდან ქრისტეშობისთვის გასვლამდე—4 მან. ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, редакція груз. жур. „Ахали Моамбэ“ Ивану Спир. Элашвили.

რედაქტორ-გამომცემელი ნინო ბეჟ. ყიფიანისა

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1915 Г.
на еженедѣльный богато-иллюстрированный журналъ

VII г. изд. **„РАМПА и ЖИЗНЬ“** VII г. изд.

Подъ редакціей Г. Мунштейна (Lolo)

Театръ —Музыка—Литература.—Живопись —Скульптура.

Подпис. цѣна: годъ 6 р. 50 к., 1/2 г. 3 р. 50 к., 3 мѣс. 1 р. За гран. вдвое 75 к., 1 мѣс. 60 к. Допускается разсрочка. ▣ Объявлен. впереди т е к с т а, 75 к. строка петита, позади текста 50 коп.

Безплатная премія для годовыхъ подписчиковъ:

Геллерея сценическихъ дѣятелей

роскошно-иллюстрированное изданіе

1900—1915 гг. Томъ 1-ый (въ двухъ частяхъ)

СОДЕРЖАНІЕ 1-го ТОМА:

Монографіи, характеристики и біографіи сценическихъ дѣятелей драмы, оперы и балета. Статьи, очерки, воспоминанія, стихи: Александра Амфитеатрова, Юрія Бѣляева, Н. Н. Вильде, Евг. Гунста, В. М. Дорошевича, Александра Койранскаго, С. Кара-Мурза, Як. Львова, Lolo И. Пеняева, кн. А. И. Сумбатова, Ю. Соболева, Н. Е. Эфроса, М. Юрьева, Сергѣя Яблоновскаго. Снимки въ жизни и роляхъ, зарисовки, Шаржи и проч. Репродукціи рѣдкихъ портретовъ и фотографій изъ музеевъ А. А. Бахрушина и В. В. Протопопова. Коллецкіи Н. А. Попова.

52 большихъ портрета (на обложкѣ) артистовъ, писателей, композиторовъ и художниковъ, болѣе 2000 снимковъ, зарисовокъ, шаржей, карикатуръ и пр. Собственные корреспонденты во всѣхъ западноевропейскихъ театр. центрахъ **52**

ОТКРЫТА ПОДПИСКА на весенній и лѣтній сезоны съ 1-го марта по 1-го сентября — 3 р. 50 коп, съ преміей — 5 руб.

АДРЕСЪ: Москва, Богословскій пер. (уг. Б. Дмитровки), д. I. Тел. 2-58-25 ⊞ Контора открыта ежедневно, кромѣ праздничныхъ дней, отъ 11—4 часовъ дня. ▣ **Подписка принимается:** также въ Москвѣ у **Н. И. Печковской** (Петровскія линіи), въ книжн. маг.: **„Новое время“** (въ Петрог.. Москвѣ и пров. гор.), въ муз. маг. **В. Бесель и К°** (Москва, Петровка, 12), **М. О. Вольфъ** (Москва—Петроградъ) **Л. Идзиковскій** (Кіевъ) **во всѣхъ книжн. магаз. г. Москвы и провинціи. Можно подписываться по тел. 2-58-25.**

ახალი გამოცემა

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოცი ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ. ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. **წ**იგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქროვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს **ორი** (2) **მანათი** (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის ჟამს.

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. **„თეატრი და ცხოვრების“** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში). **ფოსტით:** Тифлисъ. Ред. **„Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили.**

სახალხო სახლი

კვირას, 17 მაისს ნაშუადღევის 12½ ს.

ქართული სცენის დამსახურებულის მსახიობის

კოტე მესხის

გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად

ამხანაგ-მსახიობთაგან გაიმართება

წარმოდგენა

I. იოსებ მაჭავარიანი წარმოსთქვამს სიტყვას **„კ. მესხი როგორც მსახიობი და დრამატურგი“**

წარმოდგენილი იქნება კ. **მესხის:**

II. „რუსთველი“, მე 2-რე მოქ.

III. „ბაგრატ მეოთხე“, მე-3-მე მოქ. (ციხეში)

IV. აპოთეოზი:

აპოთეოზის დროს „ახალი კლუბის“ სიმებიანი ორკესტრი დაუკრავს **შომპენის სამგლოვიარო მარშს.**

მონაწილეობენ როგორც ძველი ამხანაგები-მსახიობნი, აგრეთვე ახალგაზრდანიც

დასაწყისი 12½ ს.

ადგილების ფასი—25 კ. დან 2 მ. 50 კ.

რეჟისორები: **ა. წუწუნავა** და **მ. ქორელი**

გამგენი: **ა. შიხიაშვილი** და **ვ. აბაშიძე.**

სახალხო სახლი

ორშაბათს, 18 მაისს, თბილისის ქართ. დრ. დასის მსახ. ამხ-ბის მიერ წარმოდგენილი იქნება:

გადაჭრილი მუხა

პიესა 4 მოქ. ვალ. შალიკაშვილისა

მონაწილეობს მთელი დასი

ადგ. ფასი 1 მ. 50 კ-დან 10 კ-დე

დასაწყისი საღ. 7½ საათზე.

რეჟ. **მ. ქორელი**

შემდეგი უკანასკნელი წარმდგენა ხუთშაბათს, 22 მაისს, **„სამეგრელოს მთავარი ლევან“**

„ახალი კვალი“

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 2 მ. და 50 კ., ნახევარი წლით—1. 50 კ., ერთი თვით—20 კ.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქციის ადრესი: Кутаисъ. Типографія Перадзе и Карнаухова для **„Ахали Квали“**

ფულის გამოსაგზავნი: Кутаисъ. Тип. Перадзе и Карнаухова, **Северіану Николаевичу Бахтадзе.**